





ბამ გამოაქვეყნა თავისი ძირითადი პრინციპები, რომლებიც მდგომარეობს შემდეგში: ბრძოლა დემოკრატიისთვის მილიტარისტების წინააღმდეგ, ნაციონალური დამოუკიდებლობა, სიტყვის, კრებების, პრესის და გაფიცვების თავისუფლება, საყოველთაო საარჩევნო უფლება, ბრძოლა უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა დაზარალებულ ერებთან ერთად და მუშათა, გლეხთა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება. კონფერენციის რეზოლუციის ამბობს, რომ სამხრეთ ჩინეთის მოსახლეობა მზათ არის უფრო ადრე მოკვდეს, ვიდრე გახდეს ჩრდილოეთის მილიტარისტების მონათ.

**მუშათა გაერთიანება.**  
**მოსკოვი.** აპრილის 11 სამხრეთ ჩინეთის მუშათა ფედერაციამ აუწყა თავის განყოფილებებს ფედერაციისა და კანტონის მთავრობის შორის მომხდარ კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ და წინადადებას აძლევს მათ დაიწყონ ბრძოლა ყველა მუშათა კავშირების გაერთიანებისათვის.

**ამართლებენ ჩინელებს.**  
**მოსკოვი.** 11 აპრილი. ლონდონის გაზეთი „ნიუნიონი“ ბუტრევიჩის დასჯის გამო სწერს: „საბჭოთა მთავრობა მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ მღვდელი არ არის ღირსი მეტი მოწყალებისა,

ვიდრე ათასი მუშა, რომელთა სიკვდილის შესახებ დასავლეთის არ უთქვამს არც ერთი სიტყვა. ჩინელები მოქმედებდა კანონიერად, როდესაც უარყო უცხოეთის ინტერვენციების ცდები.

**ამერიკა.**  
**მოსკოვი.** 11 აპრილი. რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობით იუზმა მიიწვია სენატორი ბორა თათბირზე პროგრესულ სენატორების პოლიტიკის მთავრობის პოლიტიკასთან შესთანხმებლათ. კამპანიას. რომელსაც აწარმოებს ბორა რუსეთის ცნობისათვის შეაქვს დიდი არე-დარევა სახელმწიფო დეპარტამენტში. რუსული კანონების ლიდერმა სენატორ დეონსმა გამოაქვეყნა მოწოდება პარტიისადმი, რომელშიდაც ის მოუწოდებს შეურიგდნენ პროგრესისტებს და კონსერვატორებს. დეონსის აზრით აუცილებელია სენატორებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა რუსეთის საკითხში.

**მთავრობის კრიზისი გრძელდება.**  
**მოსკოვი.** 11 აპრილი. სტოკოლმლიდან იტყუბინებიან, რომ მთავრობის კრიზისი შეცემაში დევე გრძელდება. ფიქრობენ, რომ ბრანტიგის კაბინეტს შესტვის მემარჯვენე კაბინეთი. ბრაიტანვის მოადგილეთ სთვლიან კონსერვატორების ლიდერს კრიუგერს.

**რ უ ხ ე მ ი.**

**სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს თანამშრომელთა განაჩენის შეჩერება**

**მოსკოვი** 11 აპრილი. სრ. რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა შეაჩერა განაჩენი სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს თანამშრომელთა; ზალმანოვის და კოვანის, რომელთაც მისჯილი ქონდათ დახვერა.

**მომგებიანი ხესხის რეალიზაცია**

**მოსკოვი** 11 აპრილი. რუსეთის დევემთა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ფინანსთა სახ. კომისიარის მოადგილემ ვლადიმეროვმა აღნიშნა, რომ პირველი სამთუჯერო წლის ნახევრის ბოლოში ე. ი. 1 აპრილისათვის მომგებიანი ხესხის რეალიზაცია (იქიდან შემოვიდა 16 მილ. ოქროს მანეთი. მისში ფინანსთა კომისიარიატი ფიქრობს გამოუშვას მეორე პურის ხესხი ჯერ 10 მილ. ჭევის ერთეული, რომელიც თანდათან იქნება აყვანილი 30 მილ. ფუთამდე. საერთო შემოსავალი სამთუჯერო წლის მეორე ნახევარში მომგებიანი ხესხის, პურის და

**ახლო აღმოსავლეთი.**

**ინგლისის დელეგატები.**  
**ბერლინი.** 11 აპრილი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ინგლისის ოფიციალური წრეებში ინგლისის დელეგაციის მეთაურათ ლოზანას ახალ კონფერენციაზე ასახელებენ ინგლისის უმაღლეს კომისარს სტამბოლში სერ ვორას რიგებოლდს.

**მუსიკის პერიკალი**

**კომპოზიტორ სკრიაბინის შემოქმედება, ზეილიერის, შხიანის და ზომერის კონცერტები, თავად იგორის ახალი დადგმა და თამარ წერეთლის კონცერტი.** მუსიკალური და თეატრალური ქრონიკა ერთი კვირის; 24 მარტიდან 1 აპრილამდე.  
 ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო არ შეიძლება საშვებლად შემიფასებია ცალ-ცალკე უკანასკნელი კვირის სპექტაკლები და კონცერტები. ამიტომ ახლა ვთავსებ ერთი კვირის ხელოვნების ქრონიკის კრიტიკულ მიმოხილვას.  
 კონცერტებიდან აღსანიშნავია ნიჭიერ პიანისტ ალექსანდრე ზეილიერის გამოსათხოვარი Clavier-abend, რომლის მთელ პროგრამას შეადგენდა გენიალურ სკრიაბინის შემოქმედება, რომელიც მშობლიურად წინასწარმეტყველი იყო მუსიკის ახალი გზების და რომელსაც თავისი შემოქმედების გაბედული გაშლით გამოიწვია (უმთავრესად საფორტეპიანო) ხელოვნების მოყვარულთა შორის დიდი დავა, რამაც ვაკუო ისინი ორ შეურიგებელ ბანაკად და რაც უფრო გააძვივდა სკრიაბინის შემოქმედების უკანასკნელმა პერიოდმა. შემოქმედების პირველ ხანებში, როცა სკრიაბინი მიდიოდა შოპენის გზით ის იყო უფრო მისაწვდომი საზოგადოების ფართე მასებისათვის და საფორტეპიანო-საორკესტრო ლიტერატურის მოყვარულთათვის (თავისი პრელიუდებით, ზოგი სტუდენტთა და პირველ ოთხ სონატით). მაგრამ თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში სკრიაბინი საბოლოოდ მოსცილდა ძველ გზებს და დაადა ახალ რევოლუციონურ გზას. დიდი კამათი გამოიწვია ამ გზამ, აქ არ იზიარებდნენ ერთმანეთის შეხედულებებს უდიდესი წარმომადგენელნი მუსიკალური ქვეყნისა.

ერთ ერთ უდიდეს კომპოზიტორათ. მისი სიმფონიები, პირველი „E—dur“, მეორე „C—moll“, ღვთაებრივი პოემა „C—moll“, „პრომეთე ანუ პოემა ცეცხლის“ და პოემა ექსტაზის, მოფლეთ სიმფონიურ კონცერტების რეპერტუარში ყოველთვის აბიან. მისი სტუდენტებიან ნაწარმოებები ავსებენ ნიჭიერ პიანისტების Clavier-abend-ების პროგრამებს.

სკრიაბინის საუკეთესო აღმასრულებლად რუსეთში ითვლება ნიჭიერი პიანისტი ბაროუსკი, რომელიც რამოდენიმე ხნის წინად გვხვბოდა ტუვლისელებს თავისი შესრულებით. საპიროა დიდი პიანისტის ნიჭი,—იყვე მოყვარული გენიალურ კომპოზიტორის, რომ მთელი პროგრამა თავის კონცერტისა უძღვნა სკრიაბინის შემოქმედებას და არ შეუშინდე აუდიტორიის მოქანცვას.  
 ალექსანდრე ზეილიერის უცლომლოე ქორეშია ხელოვნების, მას არ სჭირდება საზოგადოების იავ ფასიანი ურადლება, გაბედულად გამართა თავისი Clavier-abend-ი მხოლოდ და მხოლოდ სკრიაბინის ნაწარმოებებით და... დაიმორჩილა მთელი აუდიტორია, რომელმაც დიდი ყურადღებით მოისმინა მთელი პროგრამა. შესრულება საზოგადოთ იყო კარგი. ზეილიერს ცუდათ შესრულება არ შეუძლია. უნდა ითქვას, რომ ზოგი ნაწარმოებები იქნა შესრულებული, ჩემის აზრით უკეთესად, ზოგი შედარებით უფრო ნაკლებად. ყველაზე უფრო კარგად იყო პიანისტის მიერ შესრულებული პრელიუდები—ზეილიერის მიერ შესრულებამ ამ მინიატურებისა, ეს უკანასკნელი დაამზავა მუსიკალურ შთაონებას.

**კონცერტანტი ძლიერ კარგად შესრულა Allegro de concert opus 18, პოემა opus 32, სონატა-ფანტაზია opus 19. ტრალიკული პოემა opus 34 თხოულობს მეტ ტემპერამენტს, აგრედვე ეტიუდი dia-molle opus 8, № 12 თხოულობს მეტ ტემპერამენტსაც და უფრო დასრულებულ ფრაზიროვას სურათის სიხედაღისათვის. ძლიერ მყინს ზეილიერის გამზავება.**

უკანასკნელი ცნობებით რუსუბლიკის მთავრობა ნიჭიერ პიანისტს სთხოვს უკან დაბრუნებას ტფილისში, რათა რა ნებას ხანგრძლივ შევბულებიასა, რაც დიდათ სასიხარულოა.

შემდეგ აღსანიშნავია Clavier-abend ახალ-გაზრდა პიანისტის ბაგდან შხიანის, რომელმაც ვასულ ზაფხულზე პირველ ხარისხზე დაასრულა პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის კურსი.

მე ყოველთვის ვატყობდი კონსერვატორიის მოწვევ შხიანს განსაკუთრებულ ვირტუოზის ნიჭს და მართლაც ტენიკა ახალგაზრდა პიანისტს აუცილებლივ საუკეთესო აქვს.

ახლა კონცერტანტ შხიანს, რომელიც გამოდის აუდიტორიის წინაშე საკუთარი Clavier-abend-

**საფრანგეთის დელეგატი**

**პარიზი.** 11 აპრილი. „პტი პარიზიენი“ იუწყება, რომ საფრანგეთის დელეგატათ ლოზანას ახალ კონფერენციაზე დაინიშნა გენერალი პელლე ეშხადებთან.

**პარიზი.** 11 აპრილი. ლონდონის მთავრობის წრეებში ეშხადებთან 23 აპრილს ლოზანაში ახალი კონფერენციის გასახსნელად. სხვათა შორის

**ახალი ამბები**

— **სამშაბათს,** 17 აპრილს იხსნება კურსები „აკვანი“ პროფესორი გოგიტიძის ხელმძღვანელობით. გახსნა საღამოს 5 სათზე პირველ ვაერთა გიმნაზიის ბინაზე.  
 — **ამანათების გაგზავნა.** 1 აპრილიდან დაწყდა ახალი ნიხრი ამანათების გადაგზავნა-გაღმგზავნაზე შემდეგი სახით: მინიმუმა თითო ამანათზე წონით 10 გირვანჯა—დაწყებულია გადასახადი 75 ათასი მან. საჩქარო ფოსტით გადასაგზავნათ თითო 200 ვერსის სიშორეზე—700 ათასი მანეთი. 2000 ვერსის იქით გადასაგზავნათ—1 მილიონი.

**მიწ.-მოქ. სახ. კომისიარ.**

— **საქონლის მომშენებელი ქვე-განყოფილება.** მიწად მოქმ. სახ. კომისიარიატის საქონლის მომშენებელ ქვე-განყოფილებას აქვს ორი ფერმა ოთხ ფეხ პირუტყვის მოსაშენებლად; ორივე ფერმაში ში ითვლება 280 სული საუკეთესო ჯიშის ძროხა ფერმა ამზადებს მაღალი ხარისხის შემდეგ პროდუქტებს; რძეს, ყველს, ერბოს და სხ.

— **საქონლის ჭირი.** მიწად-მოქმედების საბე-ითლო განყოფილების მიერ მიღებული ზომებით

**მუშათა სხიარება**

**მეტა ურადლება უშუშევართ.**

უშუშევართა შესახებ არა ერთი წერილი დასტამბულა ვაზ. „ტრიბუნა“-ს ფურცლებზე ამ მოკლებნის განმარტობაში. არა ერთხელ შეხებია ამ მწვავე საკითხს სხვა ორგანიზაციებმა, მაგრამ უშუშევართა საკითხი ისევ საღისკუსიო საკითხადაა მიჩნეული და მის სათანადო გადასაქვლად და მოსავარებლად ჯერ-ჯერობით ვერ ვხედვთ ვერავისაგან პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებსაც მოითხოვს თვით უშუშევართა ინტერესი და სახელმწიფოს საქმიანობა.

უშუშევართა მდგომარეობა მერტად მწვავე და აუტანელია. მწვავეა ეს საკითხი და იგი მოითხოვს დაკვირვითი წესით გადაჭრას.

ით, მე მაინც უდგენ სხვა მოთხოვნებებს. ამ ბოლო დროს მისი ტენიკა უფრო გაუმჯობესდა და გამოჩნდა მეტი სისრულე შესრულებაში. შინაგანი ვანცდა საფორტეპიანო ლიტერატურის ნაწარმოებების, ასე ვსტკვათ ინტუიციად, ვაიძულდეს მოგითხოვოთ მეტი. რასაკვირველია ბარწყინდებს ტენიკა დაკვრა, პედალიზაცია მუსიკალობა, რიტმი და მონდომებით თამაში—უკვე დიდი თვისებებია შესრულების დროს, მაგრამ ისეთ ნაწარმოებებში, სადაც უმთავრესი ყურადღება ექცევა შინაგანს და არა გარეგანს შხარეს, ბ-მა შხიანმა ვერ მიადწია სისრულედის. მაგალითად საარლონ პრელიუდი და ფუვა D—dur ბახისა ბუზონის ტრონსკრიპციაში, არ ისმოდა საარლონ ხასიათის ხმები—განსაკუთრებით პრელიუდიში. „კარნავალი“ შუმანის უმეტეს შემთხვევაში სრულდება ცუდათ. „კარნავალი“ რომ ტენიკური ნაწარმოები არაა, ეს არის მთელი რიგი სახეების, სურათების და თითოეული ნაწილის „კარნავალის“ უნდა ჩაუქვება, რომ გადმოსცე მისი შინაარსი. მთელი ყურადღება შხიანისა შესრულების დროს მიქცეული იყო ტენიკურ მხარისაკენ და ამიტომ შთაბეჭდილება საფორტეპიანო საგნისა შინაგანი ვანცის გარეშე დარჩა. ამის გარდა „კარნავალი“ შესრულებული უნდა იქნას შუმანის სტილზე და არ უნდა დაიკვა სასტიკათ განსაზღვრული რიტმი. შესრულება უნდა იყოს სუბიექტიური. მაგრამ შუმანის დიდებული და უხმელესი toccata კარგაო იქნა შესრულებული პიანისტის მიერ, როგორც წმინდა ტენიკური ნაწარმოები. შოპენის ეტიუდებიდან კარგად იქნა შესრულებული ეტიუდი პირველი C—dur და ნაწილობრივ ეტიუდი ორბე ტერციტებში F—moll. შოპენის ბარკაროლა თხოულობს მეტ ფილიგრანულ დამუშავებას, ესევე ითქმის ლოსტის ეტიუდზე Feu Fallet (ეტიომილი ცეცხლი). შესრულება ეტიუდისა იყო მიმე. კარგათ იქნა შესრულებული ბალადები შუბერტის—ლისტის „ტყის მეფე“ და უნგრული რაპსოლა № 11. ჩემის აზრით შხიანი უნდა წვაიდეს ევროპაში, რომელმაც დიდ ხელოვანთან საფორტეპიანო თამაშის გაუქვბებისათვის.

ყურადღების ღირსია კონცერტი გამართული კონსერვატორიის მოწვევების აივარების და ზომერის მიერ. ერთიც და მეორეც დაჯილდოებულია დიდი მუსიკალური ნიჭით; აივაროვი—ვიოლონჩელი, ზომერი—როიალი. მაგრამ თუ ამ საღამოს უწოდეთ მხატვრული იმიტომ, რომ საღამოში მონაწილეობას ღებულობდა ისეთი კარგი საკამერო მომღებალი, როგორც არის ქნი დანიელიანი, ვინაიდან არც მოწვევა აივაროვის შესრულება და არც მოწვევა ზომერის, არ შეიძლება ჩიათვლიათ მხატვრულად. მოწვევა აივაროვს უნდა რა მიზამდოს სა-

ამავე წრეებში ფიქრობენ, რომ ოსმალეთის პასუხი მოლაპარაკების განახლებას (აუტორიტატი იქნება კონფერენცია-ტენიკური ხასიათი).  
**ლონდონი.** 21 აპრილი. ამტკიცებს კრესა ამტკიცებს, რომ ლოზანას ახალი კონფერენციის დღის წესრიგში დასმული კითხვები უმზარველად ტენიკური ხასიათის არიან. პრესის აზრით ეს კონფერენცია არ გამოიწვევს ისეთ ინტერესს, როგორც ლოზანას პირველი კონფერენცია.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში საქონლის ჯარი მოსპობილ იქნა; აუტრეს 487 სული საქონელს ატრის შემდეგ დაიხცა მხოლოდ 4 პროცენტი.

— **ტყეების აღწერა და გამოკვება.** მიწად-მოქმედების სახ. კომ. სატყეო განყოფილებამ დადგინა აღწერილ და გამოკვეულ იქნას სახელდახლო მნიშვნელობის ტყეების საზღვრები და აღრიცხოს მათი რაოდენობა. სათანადო მუშაობა უკვე დაწყებულია.

— **ბაზარი.** ქ. თფილისში ახლო მახლო სოფლებიდან ჩამოაქვთ აუარებელი სანოვავი; არის ტენდერია ფასების დაკლებისა პირველი საქიროების საზოგადებზე. ბაზარი სასევა სხვა და სხვა საზოგადოთ. მანუფაქტურაზე ფასები კვლავ წინანდებურია

— **ხელოვნების მუშაობა კავშირის შეფხვა „ოკაზე“.** საქართველოს ხელოვნების მუშაობა კავშირმა მიიღო კულტურული შეფხვა კავკასიის ცალკე არმიის ნაწილებზე, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

სახელმწიფოსათვის, დამაფიქრებელია უშუშევართა კადრის გამოავლება. მის შესაძკირებლად ხელისუფლება უნდა იღებდეს რადიკალურ ზომებს. მართალია არსებობს შრომის ბირვა, მაგრამ ეს დაწყებულია ვერ დაისახავს მიზნათ უშუშევართანთან ბრძოლას. იგი დაწყებულია, მხოლოდ უშუშევართა ამრუნსხველი და განმანაწილებელია. იგი გზავნის შრომის შვილს სამუშაოზე, მხოლოდ მაშინ, რაც საამისო მოთხოვნილებაა, მანამდე უშუშევართა ასეულები ამ დაწყებულია შესტკმროს და გლოდება, როდის გაიხსნება მისთვის ცა.

როგორ შეიძლება ამ მწვავე საკითხის ისე მოგვარება, რომ არც სახელმწიფოს დააწვეს ზედმეტი მომშვადენი და ამით უბრალოდ არ გაიფანტოს ხალხის ქონება და მასთან უშუშევართა რიც-

ხელგანთქმულ ვიოლონჩელისტ ბელოუსოვს უფრო მეტათ-სკოდავს მხატვრულობის წინაშე. შესრულებაში არ არის არც ღრმა სასიმღერო ტონი და ხანაც ნათელი სურათი მელოდიისა. უნდა იყო ისეთი დიდი ბელოვანის, როგორც არის ბელოუსოვი, რომ ასე ბოროტათ იხმაროს mezza-voce. ამას გარდა ბელოუსოვს აქვს სტრადივიარიუსის ვიოლონჩელი, რომელსაც შეუძლია უმდაბლესი ხმების გადამოცემა, მან აივაროვს ეს კი არ გამოუდის. მოწვევა ზომერი, როგორც მე აღვნიშნე განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული, მაგრამ უნდა მიაჭკიოს სერიოზული ყურადღება შესასრულებელ ნაწარმოების მხატვრულ დამუშავებას. კარგათ იქნა შესრულებული მოწვევა ზომერის მიერ ლისტის ბრსყინავლე პოლონეთი, სადაც პიანისტმა გამოიჩინა ლამაზი მოხდენილი დაკვირვით და pux-e (პატარა ტენიკით) და მუსიკალობით. სკერცობი cis-moll სახორთო თემა უნდა იღებდეს მაღალ ხმებს postudio ამ თემასთან. სკერცოის იყო შეკუმშული და სურათი არა ნათელი. ზომერის მიერ შუმანის „კარნავლის“ შესრულებაზე ამის წინად ესწერდი. მშვენიერად იქნა ვოკალური მხარე კონცერტისა ქონ დანილოვის და ალენიციოვის მიერ შესრულებული.

საოპერო დადგმათაგან, აუცილებლად უნდა იქნას აღნიშნული ოპერა „თავადი ივორი“ აღმსრულებელია ახალი შემადგენლობით. როგორც იქმნა ბოლოს საპასუხისმგებლო პარტია, იაროსლავის მიანდევს შესასრულებლად გამოცდილ მსახიობს ქონ პეტლიაშ-ბერილიოტის და არა ახალგაზრდა გამოცდილი, თომცა ძლიერი მუსიკალ-კომპოვარალ ვე. ქსანიშვილს. ქ-ნი პეტლიაშ-ბერილიოტისა ასრულებს—ვიოლონჩოე პარტიის იაროსლავისას, განსაკუთრებით უკანასკნელ სცენას „იაროსლავის ტერილი“ და არიოზოს მე 2-ე აქტისა. მუსიკალურად მღერის პატარა პარტიას ვლადიმერ ივორის ძისა ბ-ნი ივორინი და ძლიერ სუსტად ასრულებს, მართალია ძნელ პარტიას ხანის ქალისა—ქნი ვეროლინსკაია. ამ პარტიაში მხოლოდ კავატინაა და ეს ნომერი შესრულებული იქნა მკრთალათ, უხმოთ. უფარზირიკეთათ და უსტილოთ. მკრთალათ იქნა შესრულებული აგრეთვე დუეტი ვლადიმერის და ხანის ქალისა. დანარჩენი აღმსრულებელნი ძველებია: ივორი ბ-ნი შარაშიძე, ვლადიმერ ვალიციევი—სამიანი, ორთავენი ძლიერ კარგებია. როგორც ყოველთვის კარგია ორკესტრი ივანე ფალაშვილის ხელში. ვანთავარე მუსიკალურ მიმოხილვას თამარ წერეთლის კონცერტების აღნიშვნით. ნიჭიერმა შესრულებელმა ბოშების სიმღერების და რომანსებისამ, ჩვეულებისამებრ მიიზიდა დიდძალი ხალხი. ჩვეულებრივ ისროდენ ყვაობებს და იყო აუდიტორიის ოვაიციების საგნათ. რა ლამაზი ხმა აქვს თამარ წერეთელს და როგორ კარგია ის.





ხვიც მინიმუმამდე შემცირდეს, შრომის ბირჟა განიკვიროს.

უმუშევართა საკითხის გადასაწყვეტად ადგილობრივ პრესაში გამოითქვა, ამ კითხვით დაინტერესებულ პირებსაგან, ყველასათვის გასაგები და სრულყოფილი მისაღები აზრი. ვაზ. «ტრიბუნის» № 420-ში, ანუ. დ. მელაშვილი და ვაზ. «მუშის» № 112 ანუ. კ. ხომერიკი ერთ და იგივე აზრს გამოსთქვამენ უმუშევართა მწვავე მდგომარეობის საზღვარის დასადგენად. ორივე ერთნაირ რეკეტს გეგვიდის ამ საკითხის შესახებ და ჩემის ფიქრით იგი სრულყოფილი მისაღები და განსახორციელებელია. ვინ არ იცის, რომ დღეს ამ აუტანელ, მწვავე ეკონომიურ პირობების დროს მშრომელი კლასი ორად არის გაყოფილი. «ტრიბუნა» № 420 მარტის 15 თარიღით აი რას სწერს: როგორ გნებავთ მოინდობთ სოციალისტური თვალსაზრისით ის ამბავი, რომ დღეს, ამ კრიზისის ხანაში ბევრი ოჯახი ხიდან სამი, ოთხი სული იმყოფება სამსახურში, რომელთა თვიური შემოსავალი უდრის 60—100 მილიონ მანეთს და ყველაფერი ეს ხდება, მაშინ როდესაც აუარჩებელი ოჯახის წევრები იმყოფებიან უმუშევრად შრომის ბირჟაში...

არც ერთი უბრალო მომავლადე არ მიიჩნევს სამართლიანად იმ ვარაუდებს, რომ ერთ ოჯახიდან 3—4 სული მსახურებდეს და მეორე ოჯახიდან არც ერთი».

სრული ჭეშმარიტებაა. ბევრი ოჯახი ისეთია რომ ყველა მისი წევრი სამსახურშია და ბევრიც სრულყოფილ უმუშევარია, თუმცა სამსახურის სტატიის აქვს აქვს და დაკისრებული მოვალეობას პირნათლად შეასრულებს. ბევრია ვამბობ ისეთი პირები, რომლებსაც სამსახური მხოლოდ გასართობ დაწესებულებათ აქვს მიჩნეული და თუ რამეს აკეთებენ იქ, ძალიან მცირეს. «არაიან ისეთებიც, რომელნიც მსახურობენ მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ თავის დროზე არ მოაკლდეთ «აბრეშუმის ჩულქები» «ლაკირივანი ტუფლები» და «შურბი» პომადა». (დ. მ.—ლი). «განცხრობაში ატარებენ თავის დროს: ლოთობა, ლოტო, ბანკო, ოდეკალონ-ღუბები ყველაფერი ეს მათ განკარგულებაშია. ისინი არაფერში არ ეუბნებიან უარს თავის თავს. ეს აშკარა უსამართლობაა (ვაზ. «მუშის» № 112 კ. ხომერიკი). იმ დროს, როცა უმუშევარნი, თუ რამ გააჩნდათ ჰყლიდან და შიშველ-ტიტველად ყოფნას არჩევენ სიმშვილსაგან სულის ამოხდას.

რა ეშველება ამ საკითხს? როგორ უნდა მოგვარდეს იგი? სულ ადვილად თუ ხელისუფლება გამოიჩინოს ამ საკითხისადმი მეტ ინტერესს.

და უფრო მეტი გამოპყოს მთავრობამ კომისია რომელსაც დაევალება გააშენოს წარმოება-დაწესებულებათა ისეთი პირებისაგან, რომლებიც მსახურობენ მხოლოდ ოდეკალონ ღუბებისა, და ლაკირივანი ტუფლებისათვის» და «აბრეშუმის ჩულქებისათვის», რომელთა სამსახურიდან წასვლა არ იქნება არც დაწესებულებისათვის დიდი დანაკლისი და არც თავთ სამსახურიდან დათხოვნილობათვის ამის გამოკლებვა კი შესაძლებელია ადგილობრივ ორგანიზაციების საშუალებით.

რასაკვირველია ამ საკითხს ყველა ჩვენგანი ძალიან ფრთხილად უნდა მიუდგეს, რომ წარმოება-დაწესებულებამ არ დაპყროვოს საქმისათვის სასარგებლო პიროვნებანი.

ზემოაღნიშნულ ამხანაგების მიერ წამოყენებულ ღებულებას, კრიტიკული თვალსაზრისით მიუდგა ვაზ. «მუშის» № 114-ში ანუ. ს. გ. ივა შეუღლებლად სცნობს წარმოება-დაწესებულებიდან მოხსნან ისეთი პიროვნებანი, რომლებსაც დაწესებულების არა შესჭირს რა. ასეთი პირები ამხანაგო ს. გ. ძალიან ბევრია და მათ ფუფუნებით ცხოვრების მიმდინარეობას უნდა დაეღვას საზღვარი, რადგან ჩვენ მშრომელთა დიქტატურის ხანაში ვიმყოფებით.

ანუ. ს. გ. წერილში ბევრი ულოლოკობაა, რასაც ალბათ ავტორიც ამჩნევს, იგი ამბობს, რომ

წარმოება-დაწესებულებაში მუშა-მოსამსახურეთა მიღების დროს იმით ხელმძღვანელობენ, თუ რამდენად ვარგისია და რა სარგებლობას მოუტანს ესა თუ ის მომუშავე მუშაობის მსვლელობას, ასრულებს თუ არა მასზე დაკისრებულ საშუაოს და სხვ. ნუ თუ ავტორის აზრით უმუშევართა შორის არ მოიპოვება ისეთი, რომ მას შეეძლოს დაკისრებულ მოვალეობის აღსრულება? პირიქით თუ დაწესებულება-წარმოებების გაწმენდას ამ თვალსაზრისით მიუდგებით ბევრსა ნახავთ იქ ისეთ პიროვნებებს, რომლებსაც საქმის არაფერი ესმით.

ანუ. ს. გ. ნუ თუ არაიან ისეთი ოჯახები, რომლის წევრებიც, მსახურობენ რა წარმოება-დაწესებულებაში, ითვლებიან ისეთ სპეცებათ, რომ ზოგიერთების მოხსნით დაწესებულების ნორმალური მუშაობა თავის კალაპოტიდან ამოვარდება და ამით მისი (დაწესებულების) ნაყოფიერება ძალზე დაეცემა. თუ არაიან ასეთი ოჯახები მხოლოდ 2 პროც. და ამგვარ უმნიშვნელო რაოდენობის სპეცების სამსახურიდან მოხსნით არც უმუშევრების ტენს ეშველება რამე. მაგრამ ანუ. ს. გ. უმცირესობაზე კი არ ჰქონია მიპყრობილი თავის ყურადღება «როგორ შეიძლება უმუშევრობის სიმწვავის შესუსტების» ავტორს, არამედ იმ ლეგიონ ხალხზე, რომლებიც ბირჯის კარებს შესტყვიან ყოველ დღე. ზემო აღნიშნულ წერილის ავტორს, რომ ცოლქმარი მოკყავდა თავისი აზრის დასახატებულად, იგი არ არის შემცდარი, როგორც ეს ანუ. ს. გ. ჰგონია. თუ რომელიმე სპეცი, მაგალითად ინჟინერი, სადმე მსახურობს და მისი ცოლიც სხვა დაწესებულებაში მოკალათებული, არა როგორც სპეცი, ამ და უკანასკნელის მოხსნით დაწესებულება არ დაიქცევა თუ კი ინჟინერს ცოლიც ინჟინერი ან ექიმი ჰყავს ორივენი უნდა დარჩნენ საშუაოზე, მხოლოდ მაშინ, თუ ექიმი უმუშევარი არა გვაყავს ისეთი ოჯახის, რომლის წევრებიც არც ერთი არაა სამსახურში უადგილობის გამო. ამისთანა მაგალითები ანუ. ს. გ. ძალიან ცოტა ვახლავთ და ყოველ შემთხვევაში მათი დატოვებაც შეიძლება სამსახურში. მაგრამ რას იტყვით ისეთ პირებზე, რომლებიც სპეცები არ არიან, მაგრამ სხვა და სხვა დაწესებულებებში არაიან მოკალათებულნი და მსახურობენ «სხვათა შორის».

ქვევით ანუ. ს. გ. ამბობს «თუ სამუშაოსათვის უვარგისნი არიან. მათ უნდა მიმპართონ დახმარების მისაღებათ სოციალ უზრუნველყოფის კომისიარატს და არა ქარხანას სადაც საქმისა მხოლოდ საქმისათვის გამოსადგენია» ინვალიდებზე აქვს აქ ავტორს ლაპარაკი თუ მუშაობის გამოუღულ შრომის შეილებზე, რომლებიც ბირჯაში ათასობით არიან ჩაწერილნი? და თუ იგინი უსახსრობები არიან, მხოლოდ იმით, რომ მსახურობენ და ანუ. ს. გ. მე და თქვენ რომ სამსახურში არ ვიყოთ ბევრი ქონების პატრონი ვიქნებით? ჩემის ფიქრით მე არა და თქვენც არ ვიცი.

წარმოება-დაწესებულება მაგარი რკინის ცოცხით უნდა იქნეს გამოხვეტილი ისეთი ხალხისაგან, რომლებიც დაწესებულებას მეტ ბარჯად ჰყავს დაწყოლილი, როგორც უვარგისი და საქმის არ მცოდნე. მას უნდა მიჰყვეს ფუფუნებაში მყოფი პიროვნებანი, რომელთათვის სამსახური გასართობ ადგილათაა მიჩნეული.

დაკვირვით წესით უნდა გადასინჯულ იქნას წარმოება-დაწესებულებების შტატი, ადგილობრივ ორგანიზაციების ფართოდ დახმარებით და ასეთი წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან ერთხელაც სამუდამოთ განიწმინდოს და მათ ადგილზე დაუყონებლივ იქნან მიღებული ისეთები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას რასაკვირველია ასრულებს ისე, როგორც ამას მოითხოვს საქმის ინტერესი. მხოლოდ ამ წესით თუ განვიტოროთ შრომის ბირჯას და ძალზე შევამცირებთ უმუშევართა კიდრს, თორემ უმუშევართა განუწყვეტილ დახმარებით ჩვენს ისედაც ლარბ ხაზინას სულ გავალატებთ. ა. კ. ხ.—მე.

# ნაწავები

**ფაშისმი გერმანიაში.** გაზეთი „პრავდა“ ეხება ფაშისტურ მოძრაობას გერმანიაში, რომელიც უკანასკნელ ხანებში თანდათან ვითარდება. მოგვაყვას ეს წერილი შემოკლებით:

ფაშისმი ინტერნაციონალურ ნიადაგზე დადგა და მიიღო საერთაშორისო კაპიტალის მუშათა კლასზე შემოტევის,—განსაკუთრებული სახე. ამ ეამთ რეჟიში ახალი მსხვერპლი სდასა—გერმანია, სადაც მემშინობის განადაღრებამ კატასტროფული ხასიათი მიიღო, ხოლო ათასობით პრუსული ფელთფებელები სხვადასხვა ჯურისა და ყოფილი მონარქიული მოხელეები უსაქმოდ დარჩნენ, რაც მეტად სასურველ ნიადაგს ქმნის ფაშისმის განვითარებისათვის.

ერთი კუთხიდან მეორეში გადადის, ფაშისტური ტალღები გერმანიაში. სიღწეაში ფაშისტები დაეპატრონენ მალაროებს და ხოცავენ რევოლუციონერ მუშებს; როტე ფანეს“ გადმოციმით იქ ისეთივე ტიპიურ სურათებს აქვს ადგილი, როგორც მუსლიმანის „რევოლუციას“ უძლოდა წინ. ესენში ფაშისტები პროვოკაციას სწვენ საოკუპაციო ჯარსა და კომუნისტებს შორის. პალეში, პოლიციის მფარველობის ქვეშ, რომლის სათავეში სოციალ-დემოკრატი რუნგე სდას, აწყობენ დიდ დემონსტრაციებს მოწოდებით, რათა დასწვან მუშათა კომუნისტების. ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიის ყრილობაზე იანვარში ამა წლისა ქ. მუნხენში, ბავარიულ ფაშისტების ბელადმა გიტლერმა განაცხადა: „არა ფრანგებთან ბრძოლა, არამედ კომუნისტების და ნოემბრის დამნაშავეების განადგურება,—აი ჩვენი მთავარი ამოცანა“.

როგორია გერმანული ფაშისმის ძალა? ის სულ სხვადასხვა ელემენტებისგან შესდგება, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც საერთო იდეით, არც საერთო ორგანიზაციით. ყველაზე ძლიერ ჯგუფს წარმოადგენენ ნაციონალ-სოციალისტები, რომლებიც 70 ათას კაცს შეიცავს და დაყრდნობილია უმთავრესად ბავარიაზე. შემდეგ არის

## ეკონომიური სტატისტიკა

**ცხოვრების გაძვირება შეერთებულ შტატებში.** ეკონომიურ აღორძინებას, რომელსაც ახლა შეერთებული შტატები განიცდის, თან ერთვის და-

ერკვარტის და როსბანის ოფიცერთა ორგანიზაცია (ორგანიზაცია კონსული, რომელსაც ბრალი უდევს რატუნაუს მკვლელობაში), რომელიც, ხელმძღვანელთა სიტყვით, 100 ათასი წევრისაგან შესდგება. „გამბედავებისა და ყოველთვის განაზღვრულ ბრძოლისა“. დეპუტატების გრეფეს, ვულეს და გენივის მიერ დაარსებული პარტია „თავისუფლება“, რომელშიც უმთავრესად სახალხო პარტიისაგან ჩამოშორებული წევრები შევდნენ. ეს ჯგუფი დიდ როლს არ ასრულებს. დაბოლოს, არის მთელი რიგი ორგანიზაციებისა, „გერმანული ორდენი“, „ამერიკანული ორდის კავშირი“ და სხ.

ყველა ეს ფაშისტურ ორგანიზაციები თავს მეტად თავისუფლად გრძობენ. ფაშისტურ გაზეთების ტონი თანდათან თავხედურ ხდება და მექარის ხასიათს იღებს გერმანულ კომუნისტების მიმართ.

ზუნებრივია, რომ მოსალოდნელი ფაშისტურ საფრთხისაგან თავდასაცავთ მთელ მხარეში ვაი-სმა ძახილი მუშათა თავდაცვისაკენ. ესენში, რეგ-შიდში და სხვა რეინის ქალაქებში, შუა გერმანიაში და ტურინგიაში შეიქმნენ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული მუშათა რაზმები. სოციალ-დემოკრატიები ყოველმხრივ ცდილობენ ხელი შეუშალონ მუშათა რაზმების შექმნას. „ფორვერტი“ ამის გამო კომუნისტებს ბრალს სდებს მასში, რომ მათ „სწადიათ სამოქალაქო ომის დაჩქარება“. მაგრამ მუშები ინსტიტუტურათ გრძობენ მოახლოებულ საფრთხეს და ქარხანას ქარხანაზე გამოაქვს დადგენილება პროლეტარიატის შეიარაღების შესახებ.

ჯერ კიდევ ძნელია იმის გათვალისწინება, თუ სანამდე მივა ფაშისმის შემდეგი განვითარება და მუშების ბრძოლა შეიარაღებისათვის ნათელია მხოლოდ ის, რომ სამოქალაქო ომი გერმანიაში აუცილებელია და სოც-დემოკრატებს შეუძლიათ ამ ეამთ უფრო გამკმელები როლი შეასრულონ, ვიდრე ამას შეუძლებდ მთელი ომისა და რევოლუციის წლების განმავლობაში.

იანვრის ბოლოს 1923 წ.	3—9 იანვ. 1923 წ.	22—28 თებ. 1923 წ.	1—7 მარტი 1923 წ.	
ლოთონები და სხვა მსგავსი	100	137,43	145,76	148,04
ქსოვილი საქონლები	100	196,57	229,46	236,14
პური მარცვლათ, ფქვილი	100	129,29	125,30	125,97
ხორცი და ქონი	100	117,90	130,18	128,90
საერთო ინდექსი	100	136,24	146,44	148,23

განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ განსაზღვრულ ქრონიკულ გაძვირებას ექვემდებარებიან იანვრიდან ის საქონლები, რომლებიც მთელი ომის განმავლობაში ჩქარა იწვედნენ მაღლა. რაც შეეხება მთავარ საკვებ პროდუქტებს, მათზე საბითუმო ფასები თებერვლის შემდეგ ისევ დაიწია. ეს იმის მიჩვენებელია, რომ კვების პროდუქტების ექსპორტი ამერიკიდან ისევ ისეთ დაბრკოლებას ხვდება, როგორცაა ვეროპის ქვეყნების დაცემული ვალუტა.

**ინგლისის მრეწველობის მდგომარეობა.** 1922 წელს ინგლისში მომქმედ ღომების ღუმელების რიცხვი გაიზარდა 77-დან 169-მდე და რკინის წარმოება გაიზარდა 1921 წლის დეკემბრის 275,000 ტონიდან 1922 წლის დეკემბრის 533,700 ტონამდე. ეს უსათუოდ შესამჩნევი გაუმჯობესებაა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ 1913 წელს ინგლისში მუშაობდა 338 ღუმელი და საერთო წარმოება იყო 62 პროცენტით მეტი 1922 წლის წარმოებაზე.

**ხორციის პროდუქტების ხაზარმოო ტრეზიტი.** ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, ორი მსხვილი ამერიკული კონცერნი ხორციის პროდუქტებისა—არმარი და მარისი შეერთდა დიდ ტრესტში 500 მილიონი დოლარის კაპიტალით. ამ ტრესტის ხელში იქნება ფაქტურული მონოპოლია ხორციის პროდუქტების წარმოების ამერიკაში. ამ ტრესტის შექმნასთან დაკავშირებით მოელოან ფასების აწევას.

აშენება-კი თითქმის არ სწარმოებდა. შობაქტილდება ისეთი იყო, თითქოს, როცა ძველს ეანგრევიდით, წინასწარ არ გვექონდა გათვალისწინებული მომავალი საზოგადოებრივი წყობილების სტრუქტურა და ჩვენს მოქმედების გეგმა. არ ვიცოდით რა და საიდან დაგვეწყო და დღიურ საკითხებზე ვიქცევდით თავს.

მხოლოდ ამ ბოლო ხანებში თითქოს გამოერკვენი მესვეურები, მკირცხლად და ენერგიულად შეუდგნენ დადებითს საქმიანობას და კიდევ დაეტყუო უკვე ყოველ დარგს საუფგეშო კვალი ვაუმჯობესებისა და პროგრესისა.

სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოთ, რომ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი უწლიდა და დღესაც უშლის ხელს მათ განზრახვებს; მაგრამ ყველაზე უფრო-კი ის ბანდიტიზმი, ავაზაკთა ბრბობის დაუსრულებელი თარეში, რომელთან ბრძოლა

## საქართველოს უძველესი ნაშობის თამარქანა

**საუბარი საქართველოს უძველესი ხამხატვრობის-ტორიულ ნაშთების გადმოცემა კომისიისათვის თავმჯდომარე ანუ. პაკლივიჩთან.**

კომისია იმ აზრის იყო, რომ საქართველოს უფლება აქვს დაიბრუნოს უკან ის ძველი ხელნაწერები, რომელიც თვითმპყრობელობის დროს განილი იყო საქართველოდან.

რამდენიმე სხდომის შემდეგ, რომლებიც ჯერ მოსკოვში ხდებოდა და მერე პეტროგრადში, კომისიამ დაადგინა: დაუბარუნდეს საქართველოს 700 ქართული ხელნაწერიდან 308.

აკადემიკოს ბროსხეს ხელნაწერები და ქართულ-ბერძნული ხელნაწერები, 417 პატარა ხელნაწერები რჩება პეტროგრადში. კომისიამ დაადგინა გადაიღოს ფოტოგრაფიის საშუალებით ის ხელნაწერები, რომლებიც რჩება პეტროგრადში და აგრეთვე ისინიც, რომლებიც საქართველოს უბრუნდება.

14 ხელნაწერი, რომელზედაც მუშაობენ რუსეთის მეცნიერები 1 წლით დატოვებული იქნება პეტროგრადში.

დაბრუნებულ ხელნაწერებს შორის ზოგიერთი ფრიალ სინტერესია. მაგალითად: მე-10 საუკუნის

ხელნაწერი № 13, რდმელშიაც აწერილია იოანე ოქროპირის ცხოვრება და № მე-9 საუკუნის ხელნაწერი.

პეტროგრადშიც რჩება იშვიათი ხელნაწერები როგორც მაგალითად, „ტბეთის ხახარება 996 წლი-ხა“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ენის, ისე მხატვრობის მხრივ და ნახატებიანი ხელნაწერი მე-17 საუკუნისა „ქილილა და დამანა“.

კომისიის დადგენილება ხელნაწერების გადაღების შესახებ, რისთვისაც, მე ვფიქრობ, სახალხო განათლების კომისიარატი არ დაიშურებს თანხებს, შეძლებას მისცემს ორივე ცენტრს ისარგებლონ მათთვის საჭირო მასალებით. ეს დადგენილები ხელს შეუწყობს რუსეთის და საქართველოს მეცნიერების დაახლოვებას საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ კომისიამ შედარებით მაღელ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიის და მეცნიერების მცოდნე პირთ: პროფესორ ანძიქეს და ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს გენკოს.

(„მუშა“)





# საქართველოს

ტასო პარტიის  
დღეს, პარტიის 12-ს, ტასო აბაშიძის ბენეფისია.

ტასო აბაშიძე იმდენად შესაძინევი ფიგურაა ჩვენს სენსაზედ, რომ ექვს ვარგზედ, ჩვენი საზოგადოება დღეს თავს მოიყრის თეატრში, რათა სიყვარული გამოუტყვლოს თეატრისათვის—ხელოვნებისათვის დიდად ნამაგდარს, მისთვის თავდადებულად აღმდინოს. მით უფრო, რომ წელს ტასო აბაშიძეს შეესრულდა 25 წელი ქართულ სენსაზედ გამუდმებულ მუშაობისა...

მეოთხედი საუკუნე სენსაზედ სამსახურის საზოგადოდ დიდი ამბავია და, განსაკუთრებით ქართულ სენსაზედ პირდაპირ თავდადებამა... და ამ თავდადებისათვის, ამ თავგანწირვისათვის, უუღამაზეს მუშაობისათვის და განსაკუთრებულ ტიპებით საზოგადოების აღფრთოვანებისათვის დიდი და უმდაბლესი მადლობა, ჩვენო ძვირფასო ტასო.

დღეს მოვალე თეატრში ჩემ მადლობის გამოხატვას ვხედავ, ხოლო შენს მომავალ იუბილეზედ ამ მადლობას ხმა-მალა მოგახსენებთ.

მამლიტი ქართულ სენსაზედ, მაკეტის შემდეგ ქართულ სენსაზედ წავა მექსიკის მეორე ტრადიციული „პამლეტი“ კოტე მარჯანიშვილის მიზანსენსებით და რეისორობით. იხატება ახალი დეკორაციები, პამლეტის როლს ასრულებს მსახიობი გიორგი დავითაშვილი.

სამაგვრო თეატრი. 14 პარტიის ცენტრი არმ. კლუბში (ყოფ. ქართული კლუბი) იხსნება სეზონი ქართულ სამაგვრო თეატრისა. მიდის პიესა—ზაპარო „გადიდებული წყევლა“ თარგ. ნ. ნაკაშიძისა.

სომხურ-ქართული თეატრი. ამ მოკლე ხანში გამოვა ახალი სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალი ქართულ და სომხურ ენაზე ანტონ აუშტროვის რედაქტორობით. მასალები უნდა გაიზიარონ შემდეგი მისამართით: ტრაქციის ქუჩა (ყოფ. პეტრედილის) № 7. პაიარტუნის შენობაში. 10—2 საათამდე.

## ლია ფიკილი

სამეგრელოში ჩემ მიერ დაარსებულ ხალხურ მიმდევარა გუნდების საყურადღებოდ ვაცხადებ.

1921 წლის აპრილის 23-ს დაივინიშნე სახალხო მომღერალთა გუნდების მთავარ ინსტრუქტორად მთელ სამეგრელოში—სახალხო განათლების კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტის მიერ. მე შეუდექი ძველი გუნდების განახლებას, სადაც ასეთები არ არსებობდა იქ კი ახლების დაარსებას. განსაკუთრებით მუშურ-კვლევური გუნდები დავაარსე. უფროდის მუშაობაში ს. გვალაძის თემში, ხოლო სენაკის მუშაობაში ს. აბაში და დ. სუჯუნის თემებში. მე ვაცხადებ აღნიშნულ გუნდების წევრების და მათი ლობიარების საყურადღებოდ, რომ არაფრთარი ჯილდო ფულის სახით, არც ჯამაგარი მათთვის გადასაცემად მე არ მიმიღია; თუმცა ამ თანამდებობაზე დადგინი სანამ ახალ განკარგულების ძალით ასეთი გუნდების და საერთოდ ხელოვნების დარგის მუშაობა მთელ სამეგრელოში სამეგრელოში, — კოლექტივებზე გადავიდოდა.

ხალხურ სიმღერის მოყვარული და თავყვანისმცემელი ქუჩა ლიდა.

## წმილი რედაქციის მიმართ

აბა. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენ პატრიოტულ გაზეთში განაცხადო შემდეგი! დღემდე არ ვეუბნოდი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას და ვიდექი პოლიტიკური მუშაობის გარეშე. დღეს ჩემთვის ნათელი გახდა, რომ პოლიტიკური მუშაობის გარეშე დგომა დანაშაულებამა. საქართველოში კი, ერთად ერთი პარტია, რომელიც გარკვევით და მტკიცით იცავს ჩვენი მშრომელი ხალხის ეროვნულ და სოციალისტურ ინტერესებს არის მემარცხ. სოც. ფედ. პარტია. ამიტომ მსურს ვიქნე სწინებული პარტიის წევრი.

ქვეყნის კობაშიძე.

რედაქტორო—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ხოველებული პოლემიკა გაიმართა, რადგან შოტლანდიელის მუშათა 22 დეპუტატმა ენერგული პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ რამზი მაკდონალდმა მონაწილეობა მიიღო ამ სადღეს, როგორც მუშათა პარტიის ბელადმა. ყოველკვირეულ გაზეთ „ფორგოდში“ დაბეჭდილია ამ ჯგუფის დეკლარაცია, რომელშიც ნახსენებია, რომ მათ აზრათ არა აქვთ კონტროლი ვაუჭიონ ამა თუ იმ დეპუტატის პირად ცხოვრებას, მაგრამ ამავე დროს პროტესტს აცხადებენ სასახლეში ფორმალური სიარულის გამო.

## გიგლიოზაშვილი

სანდრო ეული „ქარხნის ტრიუმფი“ ლექსები. წიგნი მეორე. 1923 წ. ტფილისი. „მე ქარხნის ტრიუმფს უთხავდი ლექსები ჩემი „საყვირით“ ბევრს გაეგონე. ბევრი მაგინებს და ბევრიც მაქებს.“

სანდრო ეული მართლაც ბევრი აგინებდა მისი ლექსების პირველი წიგნის „რეგულიაციის საყვირის“ გამოცემის გამო. სანდრო ეული პირველი წიგნით ვერ გავძლევდა იმედს, რომ იგი ოდესმე დასძლევდა იმ სისუსტეს, რომელიც თან ახლავს „რეგულიაციის საყვირს“.

დღეს, თუ გადაიკითხავთ მისი ლექსების მეორე წიგნს, დარწმუნდებით, რომ სანდრო ეული ნიჭიერი პროლეტარული პოეტია. მის ეტყობა ენის გაღრმავება, ლექსის ტენიკის გაუმჯობესება და უკეთ რომ ვსთქვათ, გაგება, თუ რა არის პოეზია. „ქარხნის ტრიუმფი“ მოთავსებული რამოდენიმე ლექსი მისაღებია თანამედროვე პოეზიის გაგებით. განსაკუთრებით ჩვენ ყურადღებას იპყრობს მისი საუკეთესო ლექსები: „წითელ მოსკოვში“ „დილის ქორწილში“ „ცეცხლის ქარია“ და სხვები.

„მითინგი გახსნა ბელადმა გზაზე და ტრიუმფანზე გელა მეზღაურს ვულს ვაგაგბდით მექეარე ხმაში და ეწვავდით ცეცხლში ჩვენ სულის ტრაურს.“ ან და „დილის ქორწილიდან“: „იკივლა ღამემ მწუხარებით და ჩაესვენა დიდი ხნის თმეა და ლოდინი მოკვდა რიყრაყზე. უცნაურ ხმაზე მითი ისმოდა მაყურდის სტყვნა; მაყრები ჩვენ ვართ დილა მოქრის ცეცხლიან რაშზე.“

სიანს, ამ სტრიქონების ავტორს ბევრი რამ შეუძლია მისცეს ღირებ პროლეტარულ პოეზიას, ცხადია, პროლეტარული პოეზიაც თან და თან ვითარდება, მწიფდება და ძლიერდება, ამის დამამტკიცებელია სანდრო ეულის „ქარხნის ტრიუმფი“. ვისაც სოფილი აქვს პროლეტარიატს უგალობოს, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მართო „ზარბაზანი“ მართო „თეთი“ „ცეცხლი“ „ქარია“ „დროშა“ არ შეადგენს პოეზიას.

მართა ამ სიტყვებით შეთხზული ლექსებით დღეს არავინ მოთხილება. და ეს კარვად ესმის სანდრო ეულს. დღეს დიდი სიუხილზე მართებს ყველა ქართველ პოეტს. საქართველო ხომ პოეტების ქვეყანაა; წამებული საქართველო, რომელსაც მარად დასცქერის ლავარდოვანი ცა, რომლის „ზურმუხტ“ მინდორ ველზე მუდამ კეკლუცობენ ვარ-ყვავილები; საქართველო ჩვენი ტურფა სამშობლო, რომელზედაც მრავალი ვრცელს გადაუთამაშია, რომელიც გმირულად იბრძვის ცხოვრების გზაზედ ტკბილი ოცნებებით მიეკანება მზიურ ქვეყნისაკენ; ყველა ქართველ პოეტისათვის არის საყვარელი.

სანდრო ეულის „სულში საქართველო ახალშობილია; ახალგაზრდა; ვინც რომ ის დასწყველოს გამოძლია და არამზადა.“

ეს ბრწინვალე წტიქონებია. და მართლაც „გამობილი“ და „არამზადა“ იყოს ის, ვინც დასწყველოს ჩვენი ტურფა სამშობლო, მერძოლი „ახალგაზრდა საქართველო“. სანდრო ეულის „ქარხნის ტრიუმფი“ ახალი ქარია ჩვენ პოეზიაში. სანდრო ეული ამ წიგნით ამტკიცებს მის პოეტობას. სიანს მისი უეჭვო პოეტური ნიჭი თანდათან ფრთებს შლის და ჩვენ გულის ფანცქალით მოვივლით მისი ლექსების მესამე წიგნს, რითაც საშვალზეა მოგვეცემა ფართოდ შევეხოთ მგონის შემოქმედებას.

წიგნი კარგ ქალაქდება დაბეჭდილი და ღირს იორი აბაში ოქროთი.

დ. კობაძე.

თუ რა არის ჩვენში ამ დაუსრულებელი ავაზაკობის გამომწვევი და რა უწყობს ხელს მის განვითარებას, ხოლო მთავრობას კი უშლის მასთან ბრძოლას, ამაზე შევძლებ.

ოდიშელი.  
**ოზურგეთის მაზრაში**  
პატიმრის მოკვლა. გაქცევის დროს მოკლულ იქნა პატიმარი ქურდი ღომ. ფალახავა.

**თიანეთის მაზრაში**  
ქურდობა და დაჭრა. 6 მარტს სოფ. დოყოლასთან თოვით დასჭრეს ქელებიძე. ყაჩაღებმა გაიტაცეს თელავის მაზრიდან გასული საქონელი და მოკლეს მწყემსი. ს. არტანუზა გაქურდეს ჯამაშვილი დამნაშავენი შეპყრობდნენ არიან.

**დუშეთის მაზრაში**  
მილიციონერების დაჭრა. ორმა პატიმარმა დიანოზ და გრიგოლ თაზოვეამ მძიმეთ დასჭრეს 2 მილიციონერი და გაიქცნენ.

**სენაკის მაზრაში**  
ცეცხლი მკვლელობა და თვითმკვლელობანი. გაბუღიამ მოკლა ზემო ქალაქის უბნის მცხოვრები ო. შთთია.

სოფ. ტომანიერში სულამბერიძემ დანით მოკლა თავი, მიზეზი მძიმე ავადმყოფობაა.

სოფ. ახალ-ბედრიელში ცხუნკერის თემის ტყვეს გაუჩნდა ცეცხლი. მიღებული ზოპებით ცეცხლი ჩაქრობილია.

ქ. სამტრედიამი სასტუმრო „ცენტრალში“ გარდაიცვალა უცერად 2 დღის ჩამოსული როსტოვიდან კოტეცკი.

**თელავის მაზრაში**  
მკვლელობა. სოფ. ყვარელში მცხოვრებ მრევლიშვილმა თოვით მოკლა ცერკიშვილი. დამნაშავე დაპატიმრებულია.

**ქ. ქუთაისში**  
ქურდობა და დაჭრა. ინეინრის ქ. გაქურდეს ერმილე ცინცაძე. ყაზბეგის ქ. დანით დასჭრეს ერთმანეთი ხაჭაპურიძემ და მელიქაძემ.

**გორის მაზრაში**  
ცარცვა. ქ. გორიდან მომავალი სოფ. კარა-ლეთისაკენ უცნობ ბოროტ-მოქმედებმა ვაცარცვეს ტერტერაშვილი, სოფ. რკისში გაქურდეს გოგიაშვილი.

## გონივის გამარჯვება

თანამედროვე ხანა ქართველი ერის ისტორიაში რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ ფრიალ მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავია. რუსეთთან ერთად დღეს კავკასიის ერებმა დიდი პროგრესული ნაბიჯი გადასდგეს და გადალახეს ის ვიწრო ცრუმორწმუნოებრივი ჩეულებმა, როგორც არის რელიგია.

საბჭოთა ხელისუფლება ამ მხრივ ფრიალ დადებით მხარეებს ქმნის საზოგადოებაში, რითაც თვით ხალხივე იღნებს სარწმუნოებას, სჭერებს მის ყოველივე მხარეს და ხედავს მასში ნებისყოფის დამაჩუნებელ ძალას, რაც დამამტკიცებელია იმის, რომ დამიანი აშლილდა, მის გონებას კარი გაეღო; ვეღარ მოათავსა თვის ფსიხიკაში მამაპაბათა მიერ ნაბოძები გონების დამაბნელებელი ცრუმორწმუნოება. დღეს ყველასათვის ვისაყვები ვახდა, რომ რელიგია არის იარაღი ბურჟუაზიის ხელში, რომლითაც ის იბორჩილებს მშრომელ და ღატაკ ხალხს.

ბშირად ყოფილა მავალითი კაცობრიობის ისტორიაში რელიგიური ბრძოლისა, მაგრამ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომ დამიანი სარწმუნოებისაგან სრულიად განთავისუფლებულყოს; ერთის მაგივრად მეორე იჭერდა ალაგს და ადამიანი მუდამ შეზღუდული არსება რჩებოდა, ხოლო მისი გონება, აზრი ვიწრო ფარგალმეზობაზედ.

უნდა ვეცადოთ, რომ თანამედროვე ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ ასევე არ დამთავრდეს. აქ დიდ პერსპექტივებს აქვს ადგოლი: ადამიანი გონებას დაყრდნობის; მას არ აწინებს არავითარი მუქარა ცრუმორწმუნოებისა და მედგრად მისწრაფვის წინ. მან უკვე იცის, რომ ის ადამიანია, რომელსაც თავისი სულიერი მადლი, ბუნების მიერ ნაბოძები ძალა ავლენს იყოს ერთგული და მქადაგებელი მშობის, ერთობის და თავისუფლების.

მის კამკამიძე.  
ის წამსვე დაეტაკებოდა მამაც ბავშვს. მხოლოდ მას შემდეგ რაც წარმოადგინა გათავადა და ბავშვს ფული გადაუხადეს, მან განაცხადა, რომ მან ეს იმიტომ ჩაიდინა, რათა საშვალზეა ქონოდა ფული ვადებადა ოპერაციისათვის, რომელიც აუცილებლად არის საჭირო მისი ძმის სიცოცხლის გადასარჩენათ. ზოგიერთი გაზეთები დასძენენ, რომ ქირურგმა ვაზეთიდან გაიგო ეს მამაკური საქციელი და სურვილი განაცხადა ოპერაციის უუფლოთ გაეტეხისა.

— ხაჩუქარი დაწუნციოხ. იტალიის მთავრობამ დაწუნციოს დაუთმო ცნობილი ვილა ფლოკონიერი, რომელიც ცნობილ ვერმანელ ბანკირის მენდელსონის საკუთრებას შეადგენდა, რომელიც თავის დროზე ექს-კაიზერ ვილჰელმს აჩუქა. ომის დროს იტალიის მთავრობამ მას სეჭვესტრი უყო.

— მუშათა დეპუტატი მეფის ოჯახის ხადილზე. ეს პირველი შემთხვევაა, რომ სამეფო ოჯახის მიერ მუშათა დეპუტატისათვის საპატიო სადილი გაემართათ. საქმე იმაშია, რომ ინგლისში ყოველ საპარლამენტო სესიის დასაწყისში მეფე მართავს სადილს ჯერ პრემიერის პატივსაცემლად და შემდეგ მისი უდიდებულესობის, ოპოზიციის ლიდერისათვის. ამ სესიაში მეფემ საპატიო სტუმრათ მიიწვია რამზია მაკდონალდი, მუშათა პარტიის ლიდერი. სადილზე, გარდა ლორდებისა და მათი ცოლების, იყვნენ აგრედვე მინისტრები, ლიდერალების ბელადები. სადილის შემდეგ მეფესა და რამზია მაკდონალდს შორის ხანგრძლივი საუბარი გაიმართა. მუშათა პარტიაში ამ გარემოების გამო ვაც-

ყოველთვის უნდებოდა და დღესაც უნდება ადგილობრივი მთავრობის საუკეთესო დრო და ძალები. თუ ხალხის კულტურისობის საზომი არ არის მხოლოდ განათლებულ ერთა ყაიდაზე წვერ-ულვაშის გაქრევა, არამედ ჩვეულება, ადათი და საშვალეზანი, რომლითაც ადამიანი იბრძვის არსებობისათვის, მაშინ ოდიში ვერ ჩაითვლება კულტურულ კუთხედ.

უმათავრესი ნიშანი ჩვენი უკულტურობისა არის ავაზაკობა, ველური ინსტინქტი, (წადილი) სხვისი ნაშრომის მისაჯურებისა, მტაცებლობა და ქურდობა, რომელსაც ღრმად უღვას ფესვები ჩვენი წარსულის ისტორიაში და ვინ იცის იქნებ შორეულ მომავალსაც მისწვდეს მისი ტრეტებით.

სხვა მრავალ საძაქლ-აბაზანს, ამ ბოლო ხანე ბში, ზეგდობს ხანინაც ვასტრეკის და წაიღეს მ-ნახ მილიარდი მან. აბ-კავ. ბონებიქ.

განსაკუთრებით მშვიდობიანი მშრომელი ხალხისათვის შეადგენს დიდ უბედურებას ეს მოვლენა.

ჯერ თვით ყაჩაღები მეტის-მეტად ავიწროებენ და შვე დღეს აყენებენ ხალხს. იმათ ველურ მოქმედებას სიზღვარი არა აქვს, — როგორც მაგ. ქალების გაუპატიურება, ადამიანის სისხლის დაღვინება და სხვა.

თუ ვინმემ წინააღმდეგობის გაწევა გაბედა, ან მთავრობას აცნობა, დაუყოვნებლივ გამოასალმებენ წუთი-სოფელს და მათეს მის ქონებას ცეცხლს მისცემენ.

ხოლო მათი ბრძანების ამსრულებელი — კი მთავრობისაგან რეპრესიები მოელის — ყაჩაღების შენახვისათვის, მთელი სოფლები ამ რიგად აკლესული და დაწიოყებული ყაჩაღების მიერ.

განსაკუთრებით ამ ბოლო დროს დაისახა მიზნად ადგილობრივი მთავრობამ, რათაც უნდა დადაუჯდეს, აღმოუფერას ეს ბოროტება. და ამ მიზნით მიმართავენ ისეთ უკიდურესად რადიკალურ ზომებს, რომელიც შეეფერება რევიოლიუციის ხანას, მაგრამ ჯერ ჯერობით მიზანი მიუხეველი რჩება და ზღაპრული მდგეივით თითო მოკლული ავაზაკის ადვილას ორ-ორი ჩნდება. და ვეჭრობ, რომ ამგვარი საშვალეზებით ვერც მომავალში იქნება მიზანი სავესებით მიხეველი.

საქმე იმაშია, რომ რაიმე მოვლენასთან ბრძოლაში თუ ვინდა გვიმარჯვოთ, ჯერ უნდა შევსწავლოთ თვით ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები და გამარჯვებაც უტყუარია ამ მიზეზის მოსპობით. მდინარე მხოლოდ სათავიდან შეგვიძლია დავაშროთ, და არა შესართავიდან.

## სხვა და სხვა

აბი წლის წინად. პარიზის გაზეთ „ურუ-ნალ დე ლეზაზ“ არის განყოფილება „ასი წლის წინად“, რომელშიც აღწერილია ცნობები იმის შესახებ, თუ რა მოხდა სწორედ ასი წლის წინად იმავე დღეს. ერთ-ერთ ასეთ ცნობებში ჩვენ ვკითხულობთ: მთავრობის მეთაურმა მიიღო ფინანსთა მინისტრი და ოუსტიციის მინისტრი. ცნობები ჩვენი საოკუპაციო ჯარებიდან საუცხოვოა. ყველგან ჩინებული წესრიგია და მოსახლეობა ჩვეულებრივ მუშაობაში არის ჩაბმული. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ფრანგების ექსპედიციის შესახებ კი არ არის როზში, არამედ ფრანგებისავე ექსპედიციის შესახებ ესაწინეთში 1823 წელს. ვასაკვირიც არ იყო, რომ, როდესაც ამ დღებში საფრანგეთის პლატაში უურნალისტრი მივიდა მინისტრ ბერორთან და ჰკითხა, თუ რა იყო ახალი, მინისტრმა ღიმილით მიუთითა „ურუნალ დე ლეზაზ“ ზევით მოყვანილ ცნობაზე.

— არაჩვეულებრივი ხიმამაცე. ლონდონის პრესა აღტაცებით აღნიშნავს ერთ არაჩვეულებრივი სიმამაციის შემთხვევას. ამ დღებში, შეფხვლის სამხეცეში მოვიდა 15 წლის ბავშვი ალფრედ ვარსია და განაცხადა, რომ ის მზათაა შესაფერი ჯილდოს მიღებისათვის შევიდეს გალიაში ლომთან. იმ წამსვე გამოჩნდა სენსაციის მოყვარული, რომელიც დაპირდა ამის შესრულებისათვის 50 გირვანქას. ბავშვი შეიყვანეს გალიაში, სადაც ის უშიშრად დარჩა სამხეცის წარმოდგენის გათავებამდე მიუხედავად იმისა, რომ ლომის სწორედ ამ დღეს განსაკუთრებით აშფოთებული იყო და შიშობდენ, რომ

## სხვა და სხვა

— არაჩვეულებრივი ხიმამაცე. ლონდონის პრესა აღტაცებით აღნიშნავს ერთ არაჩვეულებრივი სიმამაციის შემთხვევას. ამ დღებში, შეფხვლის სამხეცეში მოვიდა 15 წლის ბავშვი ალფრედ ვარსია და განაცხადა, რომ ის მზათაა შესაფერი ჯილდოს მიღებისათვის შევიდეს გალიაში ლომთან. იმ წამსვე გამოჩნდა სენსაციის მოყვარული, რომელიც დაპირდა ამის შესრულებისათვის 50 გირვანქას. ბავშვი შეიყვანეს გალიაში, სადაც ის უშიშრად დარჩა სამხეცის წარმოდგენის გათავებამდე მიუხედავად იმისა, რომ ლომის სწორედ ამ დღეს განსაკუთრებით აშფოთებული იყო და შიშობდენ, რომ

— არაჩვეულებრივი ხიმამაცე. ლონდონის პრესა აღტაცებით აღნიშნავს ერთ არაჩვეულებრივი სიმამაციის შემთხვევას. ამ დღებში, შეფხვლის სამხეცეში მოვიდა 15 წლის ბავშვი ალფრედ ვარსია და განაცხადა, რომ ის მზათაა შესაფერი ჯილდოს მიღებისათვის შევიდეს გალიაში ლომთან. იმ წამსვე გამოჩნდა სენსაციის მოყვარული, რომელიც დაპირდა ამის შესრულებისათვის 50 გირვანქას. ბავშვი შეიყვანეს გალიაში, სადაც ის უშიშრად დარჩა სამხეცის წარმოდგენის გათავებამდე მიუხედავად იმისა, რომ ლომის სწორედ ამ დღეს განსაკუთრებით აშფოთებული იყო და შიშობდენ, რომ